

აკადემიური მოსწრების შეფასების კრიტერიუმები

1. ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები

აკადემიური აქტივობა - 16 ქულა. სტუდენტმა უნდა მიიღოს და გამოავლინოს ცოდნა სემესტრის განმავლობაში ჩატარებულ პრაქტიკული სამუშაოების შესაბამის რვა თემატურ მასალაზე.

თემატური მასალის ცოდნა შეფასდება ზეპირი გამოკითხვით, მაქსიმუმ 2 ქულით ($8 \times 2 = 16$):

0 - სტუდენტი ვერ ავლენს თემატური საკითხების ცოდნას.

0,5 - სტუდენტი ავლენს ცოდნას მნიშვნელოვანი ხარვეზებით.

1,0 - სტუდენტი საშუალოდ ერკვევა თემატურ საკითხებში.

1,5 - თემატური მასალას ფლობს მცირე ხარვეზებით.

2,0 - ამომწურავად იცის თემატური მასალა.

პრაქტიკული უნარები - 16 ქულა. სტუდენტმა უნდა ჩაატაროს და ჩათვალოს სემესტრის განმავლობაში 8 პრაქტიკული სამუშაო, შესრულებული სამუშაოები გააფორმოს ოქმის სახით:

თითოეული პრაქტიკული თემა ფასდება მაქსიმუმ 2 ქულით ($8 \times 2 = 16$):

0 - პრაქტიკული სამუშაოს შეასრულებაში მონაწილეობა არ მიუღია, ოქმი არ გააფორმა და ვერ ჩათვალა ჩატარებული სამუშაო.

0,5 - პრაქტიკული სამუშაო შეასრულა, ვერ გააფორმა ოქმი და ვერ ჩათვალა ჩატარებული სამუშაო.

1,0 - პრაქტიკული სამუშაო შეასრულა, ხარვეზებით გააფორმა ოქმი და ვერ ჩათვალა ჩატარებული სამუშაო.

1,5 - შეასრულა პრაქტიკული სამუშაო, ხარვეზებით გააფორმა ოქმი და ჩათვალა.

2,0 - სამუშაო ჩაატარა ამომწურავად.

პრეზენტაცია - 8 ქულა. სემესტრის განმავლობაში სტუდენტი აკეთებს ერთ პრეზენტაციას:

0 - პრეზენტაცია არ წარმოადგინა.

1,0 - პრეზენტაცია წარმოადგინა თვალსაჩინოებების გარეშე, გამოავლინა სუსტი პრეზენტირების უნარი, არ გამოიყენა დამატებითი ლიტერატურა.

2,0 - პრეზენტაცია წარმოადგინა თვალსაჩინოებების გარეშე, გამოავლინა სუსტი პრეზენტირების უნარი, გამოიყენა დამატებითი ლიტერატურა.

3,0 - პრეზენტაცია წარმოადგინა თვალსაჩინოებების გარეშე, გამოავლინა სუსტი პრეზენტირების უნარი, არ გამოიყენა დამატებითი ლიტერატურა.

4,0 - პრეზენტაცია მოამზადა თვალსაჩინოებების გამოყენებით, გამოავლინა სუსტი პრეზენტირების უნარი, გამოიყენა დამატებითი ლიტერატურა.

5,0 - პრეზენტაცია მოამზადა თვალსაჩინოებების გამოყენებით, გამოავლინა საშუალო პრეზენტირების უნარი, არ გამოიყენა დამატებითი ლიტერატურა.

6,0 - პრეზენტაცია მოამზადა თვალსაჩინოებების გამოყენებით, გამოავლინა საშუალო პრეზენტირების უნარი, გამოიყენა დამატებითი ლიტერატურა.

7,0 - პრეზენტაცია მოამზადა თვალსაჩინოებების გამოყენებით, გამოავლინა კარგი პრეზენტირების უნარი, გამოიყენა დამატებითი ლიტერატურა.

8,0 - პრეზენტაცია მოამზადა თვალსაჩინოებების გამოყენებით, გამოავლინა მაღალი პრეზენტირების უნარი, გამოიყენა დამატებითი ლიტერატურა.

კოლოკვიუმები - 20 ქულა. ორი კოლოკვიუმის შეფასების მიხედვით (თითოეული - 10 ქულა; სულ 20 ქულა). კოლოკვიუმები ტარდება წერითი სახით (ბილეთში წარმოდგენილია 10 თეორიული საკითხი (კითხვის სახით) და ორი ამოცანა.

თითოეული თეორიული საკითხის მაქსიმალური შეფასება არის - 0,5 ქულა:

0-საკითხზე პასუხი არ არის გაცემული.

0,1-კითხვაზე პასუხი არის ზედაპირულად გაცემული.

0,2- საკითხზე პასუხი გაცემულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით.

0,3-საკითხზე პასუხი გაცემულია ხარვეზებით

0,4-საკითხზე პასუხი გაცემულია უმნიშვნელო ხარვეზებით

0,5- საკითხზე პასუხი გაცემულია ამომწურავად.

თითოეული ამოცანის მაქსიმალური შეფასება - 2,5 ქულა:

0 - ამოცანა არ არის ამოხსნილი

0,5 - წარმოდგენილია მხოლოდ ამოცანის მოცემულობა.

1 - ამოცანა ამოხსნა ნაწილობრივ

1,5 - ამოცანა ამოხსნა ხარვეზით

2,0 - ამოცანის ამოხსნაში დაშვებულია მექანიკური შეცდომა.

2,5 - ამოცანა ამოხსნილია სრულად და სწორად.

კოლოკვიუმზე მიღებული შეფასება ცნობილია მომდევნო მეცადინეობაზე.

შეფასების გასაჩივრების უფლება სტუდენტს აქვს გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით.

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. გამოცდა ტარდება წერითი სახით. ბილეთში წარმოდგენილია 17 საკითხი (15 თემატური კითხვა და 2 ამოცანა). სტუდენტი წერილობით პასუხობს თეორიულ საკითხებს და ამოხსნის ამოცანებს.

თითოეული თეორიული საკითხის მაქსიმალური შეფასება არის - 2 ქულა:

0-კითხვა დატოვებულია პასუხისგარეშე.

0,5- საკითხზე პასუხი გაცემულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით.

1,0-საკითხზე პასუხი გაცემულია ხარვეზებით

1,5-საკითხზე პასუხი გაცემულია უმნიშვნელო ხარვეზებით

2,0- კითხვაზე პასუხი გაცემულია ამომწურავად .

თითოეული ამოცანის მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა:

1 - წარმოდგენილია მხოლოდ ამოცანის მოცემულობა.

2 - ამოცანა ამოხსნა ნაწილობრივ

3 - ამოცანა ამოხსნა სრულად, ხარვეზით

4 - ამოცანის ამოხსნაში დაშვებულია მექანიკური შეცდომა.

5 - ამოცანა ამოხსნილია სრულად და სწორად.

გამოცდაზე მიღებული შეფასება ცნობილია 24 სათის შემდეგ.

შეფასების გასაჩივრების უფლება სტუდენტს აქვს გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით.

- საგამოცდო საკითხები და ტიპობრივი ამოცანები განთავსებულია სტუდენტის პირად გვერდზე.

2. ფარმაცევტული ქიმია I

აკადემიური აქტივობა – 24 ქულა

სემესტრის განმავლობაში ტარდება 15 მეცადინეობა, აქედან, 3 მეცადინეობაზე პრაქტიკულთან ერთად ტარდება არა სემინარი, არამედ კოლოკვიუმი.

$$15 - 3 = 12.$$

12 სემინარიდან, სტუდენტი გამოკითხული უნდა იყოს 50%-ში მაინც. ე.ი. სემესტრის განმავლობაში სტუდენტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 6 აქტივობის ქულა. შეფასდება თეორიული მასალის ცოდნა ზეპირი გამოკითხვით (5 ბალიანი სისტემით); მიღებული შეფასებების ჯამი გაიყოფა გამოკითხვათა რაოდენობაზე და მიიღება საშუალო მაჩვენებელი, რომელიც გადაითვლება 24 ქულაზე.

მაგ: სტუდენტი გამოკითხულია 6-ჯერ და მიღებული აქვს შეფასებები: 3, 3, 4, 4, 5, 2; საშუალო მაჩვენებელი იქნება $(3+3+4+4+5+2):6=3,5$ ვიყენებთ პროპორციას:

$$24 \text{ ----- } 5$$

$$X \text{ ----- } 3,5$$

$$X = (24 \times 3,5) : 5 = 16,8 \text{ (აქტივობის მაჩვენებელი)}$$

შენიშვნა: თუ სტუდენტის შეფასებათა რაოდენობა 6-ზე ნაკლებია, შეფასებების ჯამი გაიყოფა 6-ზე.

აკადემიური აქტივობის ხუთბალიანი შეფასების კრიტერიუმები:

5 ქულა -- სრულად ფლობს მასალას, უშეცდომოდ წერს სამკურნალო საშუალებათა სტრუქტურას, მიღების, იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი განსაზღვრის და სიწმინდის რეაქციებს, იცის სამკურნალო საშუალებათა ქიმიური, გენერიული და საფირმო სახელწოდებები, შეუთავსებლობა, შენახვის დროს მიმდინარე გარდაქმნები, შენახვის პირობები და გამოყენება. ამომწურავად პასუხობს შეკითხვებზე.

4 ქულა – კარგად ფლობს მასალას, უშეცდომოდ წერს სამკურნალო საშუალებათა სტრუქტურას, იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი განსაზღვრის და სიწმინდის რეაქციებს, იცის სამკურნალო საშუალებათა ქიმიური, გენერიული სახელწოდებები,

შეუთავსებლობა, შენახვის დროს მიმდინარე გარდაქმნები, შენახვის პირობები და გამოყენება. შეკითხვებზე პასუხობს დამაჯერებლად.

3 ქულა - დამაკმაყოფილებლად ფლობს მასალას, წერს სამკურნალო საშუალებათა სტრუქტურას, იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი განსაზღვრის და სიწმინდის ზოგიერთ რეაქციას; იცის სამკურნალო საშუალებათა ქიმიური, გენერიული სახელწოდებები, ქიმიური შეუთავსებლობა, შენახვის დროს მიმდინარე გარდაქმნები, შენახვის პირობები და გამოყენება. შეკითხვებზე პასუხობს დამაკმაყოფილებლად.

2 ქულა - წერს ზოგიერთი სამკურნალო საშუალების სტრუქტურას; თეორიულად იცის მათი იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი განსაზღვრის და სიწმინდის რეაქციები, თუმცა უჭირს დაწერა. იცის სამკურნალო საშუალებათა გენერიული სახელწოდებები თუმცა ვერ კითხულობს ქიმიურ სტრუქტურას. იცის შენახვის პირობები და გამოყენება. პასუხობს ზოგიერთ შეკითხვაზე არადამაჯერებლად.

1 ქულა - იცის მოცემული ჯგუფის სამკურნალო საშუალებათა ჩამონათვალი, თუმცა ვერ წერს სტრუქტურას; მხოლოდ თეორიულად და ისიც არასრულად იცის მათი იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი განსაზღვრის რეაქციები, იცის შენახვის პირობები და გამოყენება. პასუხობს შეკითხვებზე არადამაკმაყოფილებლად.

0 ქულა - არ იცის მოცემული ქიმიური ჯგუფის სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალი. არ იცის მათი ზოგადი სტრუქტურა, თვისებები, ანალიზის მეთოდები. შენახვის პირობები, გამოყენება. ვერ პასუხობს შეკითხვებზე.

პრაქტიკული უნარები - 21 ქულა.

სემესტრის განმავლობაში ტარდება 15 პრაქტიკული სამუშაო. თითოეული პრაქტიკული მეცადინეობა ფასდება მაქსიმუმ 1,4 ქულით:

არ ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო - 0 ქულა,

მხოლოდ ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო, არ გააფორმა შედეგები ოქმის სახით - 0,5 ქულა,

ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო, გააფორმა ოქმი, მაგრამ ვერ

დაასაბუთა (ზეპირად და წერილობით) ჩატარებული სამუშაოს სისწორე - 1.0 ქულა,

ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო, გააფორმა ოქმი, დაასაბუთა (ზეპირად და წერილობით) ჩატარებული სამუშაოს სისწორე - 1.4 ქულა,

$15 \times 1.4 = 21$ ქულა;

კოლოკვიუმი - 15 ქულა.

სემესტრში ჩატარდება 3 კოლოკვიუმი (თითოეული - 5 ქულა; სულ 15 ქულა). კოლოკვიუმები ჩატარდება წვრილი სახით:

კოლოკვიუმის ხუთბაღიანი შეფასების კრიტერიუმები:

I კოლოკვიუმი - 50 ტესტი, თითოეული 0,1 ქულა

II კოლოკვიუმი - 40 ტესტი, თითოეული 0,1 ქულა. 1 სიტუაციური ამოცანა - 1 ქულა;

III კოლოკვიუმი - 30 ტესტი, თითოეული 0,1 ქულა. 2 სიტუაციური ამოცანა, თითოეული - 1 ქულა;

პრაქტიკულ სამუშაოს სტუდენტები ასრულებენ ინდივიდუალურად, პრაქტიკულის ხელმძღვანელის დახმარებით; სტუდენტები ჩართულნი არიან, აგრეთვე, ტესტური კითხვების შედგენა-განხილვაში.

შუალედური შეფასება ცნობილია სტუდენტისთვის დისციპლინის დასრულებისთანავე. სტუდენტს შუალედური შეფასების კომპონენტების მიხედვით შეფასების გასაჩივრების უფლება აქვს ამ უკანასკნელის გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით.

გამოცდის ფორმა: ტესტური სახით (საგამოცდო ცენტრში)

გამოცდაზე სტუდენტს მიეცემა 100 ტესტი (თითოეული- 0.4 ქულა). საგამოცდო ტესტის ბაზა (1000-ზე მეტი ტესტი) განთავსებულია თსსუ-ის ვებ-გვერდზე და სტუდენტისათვის ცნობილია. ტესტების განახლება ხდება ყოველ ახალ სასწავლო წელს.

3. ფარმაცევტული ქიმია II

აკადემიური აქტივობა – 24 ქულა.

სემესტრის განმავლობაში ტარდება 30 მეცადინეობა, აქედან, 3 მეცადინეობაზე პრაქტიკულთან ერთად ტარდება არა სემინარი, არამედ კოლოკიუმი. შეფასება არ მოხდება პირველ და ბოლო მეცადინეობაზე. $30-3-1-1=25$.

25 სემინარიდან, სტუდენტი გამოკითხული უნდა იყოს დაახლოებით 50%-ში. ე.ი. სემესტრის განმავლობაში სტუდენტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 12 აქტივობის ქულა. შეფასდება თეორიული მასალის ცოდნა ზეპირი გამოკითხვით (5 ბალიანი სისტემით); მიღებული შეფასებების ჯამი გაიყოფა გამოკითხვათა რაოდენობაზე და მიიღება საშუალო მაჩვენებელი, რომელიც გადაითვლება 24 ქულაზე.

მაგ: სტუდენტი გამოკითხულია 12 - ჯერ და მიღებული აქვს შეფასებები: 3, 4, 3, 5, 5, 4, 2, 1, 4, 5, 1, 2; საშუალო მაჩვენებელი იქნება $(3+4+3+5+5+4+2+1+4+5+1+2) : 12 = 3,25$ ვიყენებთ პროპორციას:

$$24 \text{ ----- } 5$$

$$X \text{ ----- } 3,25$$

$$X = (24 \times 3,25) : 5 = 15,6 \text{ (აქტივობის მაჩვენებელი)}$$

შენიშვნა: თუ სტუდენტის შეფასებათა რაოდენობა 12-ზე ნაკლებია, შეფასებების ჯამი გაიყოფა მაინც 12-ზე.

აკადემიური აქტივობის ხუთბალიანი შეფასების კრიტერიუმები:

5 ქულა -- სრულად ფლობს მასალას, უშეცდომოდ წერს სამკურნალო საშუალებათა სტრუქტურას, მიღების, იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი განსაზღვრის და სიწმინდის რეაქციებს, იცის სამკურნალო საშუალებათა ქიმიური, გენერიული და საფირმო სახელწოდებები, შეუთავსებლობა, შენახვის დროს მიმდინარე გარდაქმნები, შენახვის პირობები და გამოყენება. ამომწურავად პასუხობს შეკითხვებზე.

4 ქულა – კარგად ფლობს მასალას, უშეცდომოდ წერს სამკურნალო საშუალებათა სტრუქტურას, იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი განსაზღვრის და სიწმინდის რეაქციებს, იცის სამკურნალო საშუალებათა ქიმიური, გენერიული სახელწოდებები, შეუთავსებლობა, შენახვის დროს მიმდინარე გარდაქმნები, შენახვის პირობები და გამოყენება. შეკითხვებზე პასუხობს დამაჯერებლად.

3 ქულა - დამაკმაყოფილებლად ფლობს მასალას, წერს სამკურნალო საშუალებათა სტრუქტურას, იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი განსაზღვრის და სიწმინდის ზოგიერთ რეაქციას; იცის სამკურნალო საშუალებათა ქიმიური, გენერიული სახელწოდებები, ქიმიური შეუთავსებლობა, შენახვის დროს მიმდინარე გარდაქმნები, შენახვის პირობები და გამოყენება. შეკითხვებზე პასუხობს დამაკმაყოფილებლად.

2 ქულა - წერს ზოგიერთი სამკურნალო საშუალების სტრუქტურას; თეორიულად იცის მათი იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი განსაზღვრის და სიწმინდის რეაქციები, თუმცა უჭირს დაწერა. იცის სამკურნალო საშუალებათა გენერული სახელწოდებები თუმცა ვერ კითხულობს ქიმიურ სტრუქტურას. იცის შენახვის პირობები და გამოყენება. პასუხობს ზოგიერთ შეკითხვაზე არადამაჯერებლად.

1 ქულა – იცის მოცემული ჯგუფის სამკურნალო საშუალებათა ჩამონათვალი, თუმცა ვერ წერს სტრუქტურას; მხოლოდ თეორიულად და ისიც არასრულად იცის მათი იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი განსაზღვრის რეაქციები, იცის შენახვის პირობები და გამოყენება. პასუხობს შეკითხვებზე არადამაკმაყოფილებლად.

0 ქულა – არ იცის მოცემული ქიმიური ჯგუფის სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალი. არ იცის მათი ზოგადი სტრუქტურა, თვისებები, ანალიზის მეთოდები. შენახვის პირობები. იცის /არ იცის გამოყენება. ვერ პასუხობს შეკითხვებზე.

პრაქტიკული უნარები – 21 ქულა

თითოეული პრაქტიკული მეცადინეობა ფასდება მაქსიმუმ 0.7 ქულით:

ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო – 0,3 ქულა,

გააფორმა ჩატარებული სამუშაო – 0,2 ქულა,

დაასაბუთა (ზეპირად და წერილობით) ჩატარებული სამუშაოს სისწორე — 0,2 ქულა. (0,3+0,2+0,2 =0.7 ქულა), სულ– 30X0.7 =21 ქულა.

კოლოკვიუმები – 15 ქულა

სემესტრში ტარდება სამი კოლოკვიუმი (თითოეული - 5 ქულა; სულ 15ქულა).კოლოკვიუმები ჩატარდება წერითი სახით:

კოლოკვიუმის ხუთბაღიანი შეფასების კრიტერიუმები:

I კოლოკვიუმი – 30 ტესტი, თითოეული 0,1 ქულა. 2 სიტუაციური ამოცანა, თითოეული – 1 ქულა;

II კოლოკვიუმი –30 ტესტი, თითოეული 0,1 ქულა. 2 სიტუაციური ამოცანა, თითოეული – 1 ქულა;

III კოლოკვიუმი – 50 ტესტი, თითოეული 0,1 ქულა;

პრაქტიკულ სამუშაოს სტუდენტები ასრულებენ ინდივიდუურად, პრაქტიკუმის ხელმძღვანელის დახმარებით; სტუდენტები ჩართულნი არიან, აგრეთვე, ტესტური კითხვების შედგენა-განხილვაში.

გამოცდის ფორმა: ტესტური სახით (საგამოცდო ცენტრში) საბოლოო შეფასებაში თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილია:

აკადემიური აქტივობა	24%
პრაქტიკული უნარები	21%
კოლოკვიუმები	15%
დასკვნითი გამოცდის შეფასება	40%
საბოლოო შეფასება	100%

გამოცდაზე დასაშვებად, სტუდენტმა, შესაძლებელი 60 ქულიდან (კომპონენტების ხვედრითი წილი გამოცდის გამოკლებით) უნდა დააგროვოს სულ მცირე 11 ქულა; 11 და მეტი ქულის დაგროვების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ სტუდენტმა შეასრულა სავალდებულო სამუშაოები და დაშვებულია გამოცდაზე;

- გამოცდაზე სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 20-40 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცდა არ ჩაითვლება ჩაბარებულად;
- საბოლოო შეფასებისათვის გამოცდაზე მიღებული ქულებს დაემატება შუალედურ შეფასებათა ჯამი (11-60ქულა). სტუდენტის დადებითი შეფასებისათვის აუცილებელია სასწავლო კომპონენტების და გამოცდაზე მიღებული ქულათა ჯამი იყოს 51 - 100.
- საგამოცდო ტესტის ბაზა (1000-ზე მეტი ტესტი) განთავსებულია თსსუ-ის ვებ-გვერდზე და სტუდენტისათვის ცნობილია. ტესტების განახლება ხდება ყოველ ახალ სასწავლო წელს.

4. ტოქსიკოლოგიური ქიმია I

სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად.

დისციპლინაში სტუდენტის ცოდნა ფასდება კომპლექსურად, ეტაპობრივად: დასწრება, ყოველდღიური მუშაობა (აქტიურობა), პრაქტიკული უნარები, კოლოკვიუმები, გამოცდა, საბოლოო შეფასება.

დასწრება	5%
აკადემიური აქტიურობა	20%
პრაქტიკული უნარები	15%
კოლოკვიუმები	20%
დასკვნითი გამოცდის შეფასება	40%
საბოლოო შეფასება	100%

დასწრების ქულის გამოთვლა მოხდება პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტის დასწრების მიხედვით. სტუდენტის დასწრება მრავლდება შესაბამის დასწრების ქულაზე (5) და იყოფა მეცადინეობების საერთო რაოდენობაზე.

(მაგ.: სემესტრის მანძილზე სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტი უნდა დაესწროს 15 მეცადინეობას, სტუდენტი კი დაესწრო 12 მეცადინეობას; შესაბამისად დასწრების ქულა იქნება $A = \frac{12 \times 5}{15} = 4$).

აკადემიური აქტიურობის შეფასება ხდება სტუდენტის მიერ მომზადებული თეორიული მასალის შეფასების საფუძველზე. გამოკითხვის ფორმები შეიძლება იყოს როგორც ორალური, ისე წერიითი. სტუდენტისთვის სავალდებულო იქნება განვლილი მასალიდან მინიმუმ 10 თემის მომზადება. თითოეული თემა შეფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

0 – საკითხზე პასუხი საერთოდ არ არის გაცემული;

1 – საკითხზე სტუდენტი მსჯელობს ზედაპირულად;

2 – საკითხზე მსჯელობისას სტუდენტი უშვებს შეცდომებს და ვერ იცავს ქრონოლოგიას;

3 – სტუდენტი საკითხს გადმოსცემს ხარვეზებით;

4 – სტუდენტი საკითხზე მსჯელობს ზედმიწევნით, მხოლოდ უმნიშვნელო ხარვეზებით;

5 - სტუდენტი საკითხზე მსჯელობს თავისუფლად და ამომწურავად.

სტუდენტის მიერ სემესტრის მანძილზე დაგროვილი ქულების საერთო რაოდენობა მრავლდება აქტიურობის შეფასების (20) ქულაზე და იყოფა პოტენციურად შესაძლო ქულების მაქსიმალურ რაოდენობაზე.

(მაგ.: სემესტრის მანძილზე სტუდენტს უნდა შეესწავლა 10 თემა ($10 \times 5 = 50$ ქულა), სტუდენტმა სემესტრის მანძილზე მიღებული შეფასებების შეჯამებით დააგროვა 37 ქულა; შესაბამისად სტუდენტის აკადემიური აქტივობა იქნება $A = \frac{37 \times 20}{50} = 14.8$ ქულა)

პრაქტიკული უნარები შეფასდება სტუდენტის მიერ პრაქტიკული მეცადინეობის დროს გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და დაწერილი ოქმის მიხედვით. მაქსიმალური შეფასებაა 1.25 ქულა. სტუდენტის მიერ სემესტრის მანძილზე დაგროვილი ქულების მათემატიკური ჯამი იქნება მისი პრაქტიკული უნარების საბოლოო ქულა.

თითოეული ამოცანის შეფასება:

0 – სტუდენტი არ დაესწრო პრაქტიკულ მეცადინეობას/სტუდენტმა არ დაწერა შესაბამისი ოქმი;

0.25 – სტუდენტი ამოცანის შესრულების და ოქმის გაფორმების დროს, ვერ ხვდება მის ძირითად არსს;

0.5 – სტუდენტმა ამოცანის შესრულების და ოქმის გაფორმების დროს დაუშვა უხეში შეცდომები;

0.75 – სტუდენტმა ამოცანის შესრულების და ოქმის გაფორმების დროს დაუშვა რიგი შეცდომები;

1.0 – სტუდენტმა ამოცანის შესრულების და ოქმის გაფორმების დროს დაუშვა უმნიშვნელო (რედაქციული ტიპის) შეცდომები;

1.25 – სტუდენტმა ამოცანა შეასრულა და გააფორმა უშეცდომოდ.

(მაგ.: სემესტრის მანძილზე სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტმა უნდა ჩაატაროს 12 პრაქტიკული სამუშაო (პრაქტიკული სამუშაო არ ტარდება კოლოკვიუმების და ბოლო პრაქტიკულ მეცადინეობაზე), შესაბამისად სტუდენტის პრაქტიკული უნარები გამოითვლება მათემატიკური ჯამით $12 \times 1.25 = 15$ ქულა).

სემესტრის მანძილზე ტარდება 15 მეცადინეობა აქედან ორი კოლოკვიუმი, თითოეული კოლოკვიუმი შეფასდება 10 ქულით, სულ 20 ქულა.

I კოლოკვიუმი ტარდება წერით. ბილეთში შეტანილია 5 საკითხი განვლილი მასალიდან, შესაბამისად თითოეული საკითხის შეფასების მაქსიმალური ქულა არის 2.

0 ქულა – საკითხზე არ არის გაცემული/ არასწორად არის გაცემული პასუხი

1 ქულა – საკითხზე ნაწილობრივ/ხარვეზებით არის გაცემული პასუხი

2 ქულა – საკითხზე ამომწურავად არის გაცემული პასუხი

წერითი გამოკითხვა სტუდენტს აძლევს საშუალებას გამოხატოს მის მიერ შეძენილი ცოდნა ლოგიკური დასკვნების სახით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოქსიკოლოგიური ქიმიის I-ის შესწავლის პროცესში, სადაც სტუდენტი და მომავალში სპეციალისტი უნდა ფლობდეს შესაბამის უნარს მარტივი, გასაგები ენით და დასაბუთებულად ჩამოაყალიბოს მის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგი ოქმში.

II კოლოკვიუმი ტარდება ტესტური სახით, თითოეული ბილეთი შედგება 50 ტესტისგან და მოიცავს სემესტრის მანძილზე განვლილ მასალას. თითო ტესტი ფასდება 0.2 ქულით. ტესტური ფორმის დროს შეთავაზებული ალტერნატიული პასუხებიდან ერთი

არის სწორი. ტესტის შეფასების საბოლოო შედეგი დადებითი იქნება იმ შემთხვევაში, თუ სწორი პასუხების რაოდენობა იქნება $\geq 30\%$.

ტოქსიკოლოგიური ქიმია I-ის გამოცდა ტარდება ტესტურად საგამოცდო ცენტრში. სტუდენტს ეძლევა 100 ტესტი თითოეული ტესტი ფასდება 0.4 ქულით. საგამოცდო ტესტების ბაზა განთავსებულია თსსუ ვებ-გვერდზე და სტუდენტთათვის ცნობილია ტესტის კითხვები. ტესტები ახლდება პერმანენტულად.

გამოცდაზე დაშვებულმა სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 20-40 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცდა არ ჩაითვლება ჩაბარებულად;

სტუდენტს შუალედური შეფასების კომპონენტების მიხედვით შეფასების გასაჩივრების უფლება აქვს ამ უკანასკნელის გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით.

5. ტოქსიკოლოგიური ქიმია II

სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად.

დისციპლინაში სტუდენტის ცოდნა შეფასდება კომპლექსურად, ეტაპობრივად: დასწრება, ყოველდღიური მუშაობა (აქტიურობა), პრაქტიკული უნარები, კოლოკვიუმები, გამოცდა, საბოლოო შეფასება.

სტუდენტის შეფასების კომპონენტებია:

დასწრება	5%
აკადემიური აქტივობა	20%
პრაქტიკული უნარები	15%
კოლოკვიუმები	20%
დასკვნითი გამოცდის შეფასება	40%
საბოლოო შეფასება	100%

დასწრების ქულის გამოთვლა მოხდება პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტის დასწრების მიხედვით. სტუდენტის დასწრება მრავლდება შესაბამის დასწრების ქულაზე (5) და იყოფა მეცადინეობების საერთო რაოდენობაზე.

(მაგ.: სემესტრის მანძილზე სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტი უნდა დაესწროს 15 მეცადინეობას, სტუდენტი კი დაესწრო 12 მეცადინეობას; შესაბამისად დასწრების ქულა იქნება $A = \frac{12 \times 5}{15} = 4$).

აკადემიური აქტიურობის შეფასება ხდება სტუდენტის მიერ მომზადებული თეორიული მასალის შეფასების საფუძველზე. გამოკითხვის ფორმები შეიძლება იყოს როგორც ორალური, ისე წერიითი. სტუდენტისთვის სავალდებულო იქნება განვლილი მასალიდან მინიმუმ 10 თემის მომზადება. თითოეული თემა შეფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

0 – საკითხზე პასუხი საერთოდ არ არის გაცემული

1 – საკითხზე სტუდენტი მსჯელობს ზედაპირულად

2 – საკითხზე მსჯელობისას სტუდენტი უშვებს შეცდომებს და ვერ იცავს ქრონოლოგიას

3 – სტუდენტი საკითხს გადმოსცემს ხარვეზებით

4 – სტუდენტი საკითხზე მსჯელობს ზედმიწევნით, მხოლოდ უმნიშვნელო ხარვეზებით

5 - სტუდენტი საკითხზე მსჯელობს თავისუფლად და ამომწურავად.

სტუდენტის მიერ სემესტრის მანძილზე დაგროვილი ქულების საერთო რაოდენობა მრავლდება აქტიურობის შეფასების (20) ქულაზე და იყოფა პოტენციურად შესაძლო ქულების მაქსიმალურ რაოდენობაზე.

(მაგ.: სემესტრის მანძილზე სტუდენტს უნდა შეესწავლა 10 თემა ($10 \times 5 = 50$ ქულა), სტუდენტმა სემესტრის მანძილზე მიღებული შეფასებების შეჯამებით დააგროვა 37 ქულა; შესაბამისად სტუდენტის აკადემიური აქტიურობა იქნება $A = \frac{37 \times 20}{50} = 14.8$ ქულა).

პრაქტიკული უნარები შეფასდება სტუდენტის მიერ პრაქტიკული მეცადინეობის დროს გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და დაწერილი ოქმის მიხედვით. მაქსიმალური შეფასებაა 1.25 ქულა. სტუდენტის მიერ სემესტრის მანძილზე დაგროვილი ქულების მათემატიკური ჯამი იქნება მისი პრაქტიკული უნარების საბოლოო ქულა.

თითოეული ამოცანის შეფასება:

0 – სტუდენტი არ დაესწრო პრაქტიკულ მეცადინეობას/სტუდენტმა არ დაწერა შესაბამისი ოქმი;

0.25 – სტუდენტი ამოცანის შესრულების და ოქმის გაფორმების დროს, ვერ ხვდება მის ძირითად არსს;

0.5 – სტუდენტმა ამოცანის შესრულების და ოქმის გაფორმების დროს დაუშვა უხეში შეცდომები;

0.75 – სტუდენტმა ამოცანის შესრულების და ოქმის გაფორმების დროს დაუშვა რიგი შეცდომები;

1.0 – სტუდენტმა ამოცანის შესრულების და ოქმის გაფორმების დროს დაუშვა უმნიშვნელო (რედაქციული ტიპის) შეცდომები;

1.25 – სტუდენტმა ამოცანა შეასრულა და გააფორმა უშეცდომოდ.

(მაგ.: სემესტრის მანძილზე სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტმა უნდა ჩაატაროს 12 პრაქტიკული სამუშაო (პრაქტიკული სამუშაო არ ტარდება კოლოკვიუმების და ბოლო პრაქტიკულ მეცადინეობაზე), შესაბამისად სტუდენტის პრაქტიკული უნარები გამოითვლება მათემატიკური ჯამით $12 \times 1.25 = 15$ ქულა).

სემესტრის მანძილზე ტარდება 15 მეცადინეობა, აქედან ორი კოლოკვიუმი, თითოეული კოლოკვიუმი შეფასდება 10 ქულით, სულ 20 ქულა.

I კოლოკვიუმი ტარდება წერით. ბილეთში შეტანილია 5 საკითხი განვლილი მასალიდან, შესაბამისად თითოეული საკითხის შეფასების მაქსიმალური ქულა არის 2.

0 ქულა – საკითხზე არ არის გაცემული/არასწორად არის გაცემული პასუხი

1 ქულა – საკითხზე ნაწილობრივ/ხარვეზებით არის გაცემული პასუხი

2 ქულა – საკითხზე ამომწურავად არის გაცემული პასუხი

წერითი გამოკითხვა სტუდენტს აძლევს საშუალებას გამოხატოს მის მიერ შექმნილი ცოდნა ლოგიკური დასკვნების სახით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოქსიკოლოგიური ქიმიკა II-ის შესწავლის პროცესში, სადაც სტუდენტი და მომავალში სპეციალისტი უნდა ფლობდეს შესაბამის უნარს მარტივი, გასაგები ენით და დასაბუთებულად ჩამოაყალიბოს მის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგი ოქმის სახით.

II კოლოკვიუმი ტარდება ტესტური სახით, თითოეული ბილეთი შედგება 50 ტესტისგან და მოიცავს სემესტრის მანძილზე განვლილ მასალას. თითო ტესტი ფასდება 0.2 ქულით. ტესტური ფორმის დროს შეთავაზებული ალტერნატიული პასუხებიდან ერთი არის სწორი. ტესტის შეფასების საბოლოო შედეგი დადებითი იქნება იმ შემთხვევაში, თუ სწორი პასუხების რაოდენობა იქნება $\geq 30\%$.

ტოქსიკოლოგიური ქიმიის II-ის დასკვნითი გამოცდა ტარდება ტესტურად საგამოცდო ცენტრში. სტუდენტს ეძლევა 100 ტესტი, თითოეული ტესტი ფასდება 0.4 ქულით. საგამოცდო ტესტების ბაზა განთავსებულია თსსუ ვებ-გვერდზე და სტუდენტ-თათვის ცნობილია ტესტის კითხვები. ტესტები ახლდება პერმანენტულად.

გამოცდაზე დაშვებულმა სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 20-40 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცდა არ ჩაითვლება ჩაბარებულად;

სტუდენტს შუალედური შეფასების კომპონენტების მიხედვით შეფასების გასაჩივრების უფლება აქვს ამ უკანასკნელის გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით.

6. ფარმაკოკინეტიკის საფუძვლები

სტუდენტის შეფასების კომპონენტებია:

აკადემიური აქტივობა	22 %
პრაქტიკული უნარები	12 %
კოლოკვიუმები	20 %
პრეზენტაცია	6 %
გამოცდის შეფასება	40 %
საბოლოო შეფასება	100%

აკადემიური აქტივობა - 22 ქულა. სემესტრის განმავლობაში, პრაქტიკულ მეცადინეობაზე, სემინარულ ნაწილში შეფასდება თეორიული მასალის ცოდნა ზეპირი გამოკითხვით. 15 მეცადინეობიდან ხდება 11 თემის გამოკითხვა და თითოეული თემა ფასდება მაქსიმუმ 2 ქულით.

0 - თეორიულ საკითხს ვერ უპასუხა.

0,5 – სუსტად ერკვევა თეორიულ საკითხში.

1,0 – თეორიულ მასალას ფლობს მნიშვნელოვანი ხარვეზებით.

1,5 – თეორიულ მასალას ფლობს მცირე ხარვეზებით.

2,0 -ამომწურავად იცის თეორიული მასალა.

პრაქტიკული უნარები - 12 ქულა. სტუდენტმა უნდა ჩათვალოს სემესტრის განმავლობაში ჩატარებული 12 პრაქტიკული სამუშაო და მოახდინოს მისი ოქმის სახით გაფორმება. თითოეული პრაქტიკული მეცადინეობა ფასდება მაქსიმუმ 1,0 ქულით:

0 - პრაქტიკული სამუშაო არ შეასრულა, ოქმი არ გააფორმა და ვერ ჩათვალა.

0,25 - პრაქტიკული სამუშაო არ შეასრულა სრულად. ხარვეზებით გააფორმა ოქმი და ვერ ჩათვალა ჩატარებული სამუშაო.

0,5- პრაქტიკული სამუშაო შეასრულა სრულად, ხარვეზებით გააფორმა ოქმი და ვერ ჩათვალა ჩატარებული სამუშაო.

0,75-პრაქტიკული სამუშაო შეასრულა სრულად, ხარვეზებით გააფორმა ოქმი და ჩათვალა ჩატარებული სამუშაო.

1,0-პრაქტიკული სამუშაო შეასრულა სრულად, სრულყოფილად გააფორმა ოქმი და ჩათვალა ჩატარებული სამუშაო.

პრეზენტაცია - 6 ქულა. სემესტრის განმავლობაში სტუდენტი აკეთებს ერთ პრეზენტაციას. შეფასებით (6 ბალიანი სისტემით):

0 - არ წარმოადგინა პრეზენტაცია.

- 1,0 – პრეზენტაცია წარმოადგინა ცუდად თვალსაჩინოებების გარეშე.
- 2,0–პრეზენტაცია წარმოადგინა ცუდად. მცირედი თვალსაჩინოებებით, გამოავლინა სუსტი პრეზენტირების უნარი,
- 3,0 – პრეზენტაცია წარმოადგინა სუსტად, არასრულფასოვანი თვალსაჩინოებებით, გამოავლინა საშუალო პრეზენტირების უნარი.
- 4,0 – პრეზენტაცია წარმოადგინა კარგად, არასრულფასოვანი თვალსაჩინოებებით,
- 5,0 – პრეზენტაცია წარმოადგინა კარგად სრულფასოვანი თვალსაჩინოებებით,
- 6,0 - პრეზენტაცია წარმოადგინა სრულფასოვანი თვალსაჩინოებებით, გამოავლინა მაღალი პრეზენტირების უნარი.

კოლოკვიუმები - 20 ქულა ორი კოლოკვიუმის შეფასების მიხედვით (თითოეული - 10 ქულა). კოლოკვიუმები ტარდება წერიითი სახით (ბილეთში წარმოდგენილია 10 საკითხი კითხვის სახით). თითოეული თეორიული საკითხის მაქსიმალური შეფასება არის - 1,0 ქულა:

- 0 - კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული.
- 0,2-კითხვაზე პასუხი არის გაცემული ცუდად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით.
- 0,4- საკითხზე პასუხი გაცემულია ზედაპირულად, არასრულფასოვნად.
- 0,6-საკითხზე პასუხი გაცემულია საშუალოდ, ხარვეზებით.
- 0,8-საკითხზე პასუხი გაცემულია უმნიშვნელო ხარვეზებით.
- 1,0- საკითხზე პასუხი გაცემულია ამომწურავად.

კოლოკვიუმზე მიღებული შეფასება სტუდენტისთვის ცნობილია 24 სთ-ის განმავლობაში.

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა, ტარდება წერიითი სახით. ბილეთში არის 20 საკითხი. თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასება არის - 2,0 ქულა:

- 0 - საკითხზე პასუხი არ არის გაცემული;
- 0,5-საკითხზე პასუხი არის გაცემული ცუდად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით;
- 1,0-საკითხზე პასუხი გაცემულია საშუალოდ, ხარვეზებით;
- 1,5-საკითხზე პასუხი გაცემულია უმნიშვნელო ხარვეზებით;
- 2,0- საკითხზე პასუხი გაცემულია ამომწურავად .

გამოცდაზე მიღებული შეფასება სტუდენტისთვის ცნობილია 24 სთ-ის განმავლობაში. შუალედური და საგამოცდო შეფასების გასაჩივრების უფლება სტუდენტს აქვს შეფასების გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით.

საგამოცდო საკითხები და ტიპობრივი ამოცანები განთავსებულია სტუდენტის პირად გვერდზე.

საკითხების განახლება ხდება ყოველ ახალ სასწავლო წელს.

7. **ფარმაცევტული ანალიზი**

დისციპლინაში სტუდენტის ცოდნა შეფასდება კომპლექსურად, ეტაპობრივად, აკადემიური აქტივობა, პრაქტიკული უნარები, საბოლოო შუალედური შეფასება (60 ქულის ფარგლებში)

საბოლოო შუალედურ შეფასებაში (60 ქულის ფარგლებში) თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილია:

აკადემიური აქტივობა	24 %
პრაქტიკული უნარები	36 %
დასკვნითი გამოცდა	40 %

სასწავლო კურსის კომპონენტების შეფასება:

აკადემიური აქტივობა – 24 ქულა.

სასწავლო კურსის განმავლობაში ტარდება 24 პრაქტიკული მეცადინეობა. ყოველ პრაქტიკულ მეცადინეობაზე შეფასდება ჩასატარებელი პრაქტიკული სამუშაოს თეორიული საფუძვლების ცოდნა ზეპირი გამოკითხვით 0-დან 1.0 ქულამდე და მიღებული შედეგები შეჯამდება ($24 \times 1.0 = 24$).

0 ქულა – არ იცის საანალიზო სამკურნალო ან ტოქსიკური ნივთიერების თვისებები და ანალიზის მეთოდები. ვერ პასუხობს შეკითხვებზე.

0.5 ქულა – კარგად ფლობს მასალას, იცის საანალიზო სამკურნალო ან ტოქსიკური ნივთიერების ქიმიური სტრუქტურა, იცის მისი ანალიზის მეთოდები, ანალიზური პროცედურების თანმიმდევრობა. დამაკმაყოფილებლად პასუხობს შეკითხვებზე.

1 ქულა -- სრულად ფლობს მასალას, იცის განსაზღვრული ჯგუფის სამკურნალო ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ქიმიური სტრუქტურა, იცის მათი ანალიზის მეთოდები, ანალიზური პროცედურების თავისებურებები და თანმიმდევრობა. ამომწურავად პასუხობს შეკითხვებზე.

პრაქტიკული უნარები – 36 ქულა.

სასწავლო კურსის განმავლობაში ტარდება 24 პრაქტიკული მეცადინეობა. თითოეული პრაქტიკული მეცადინეობა ფასდება მაქსიმუმ 1,5 ქულით:

არ ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო – 0 ქულა,
 მხოლოდ ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო, არ გააფორმა შედეგები ოქმის სახით – 0,5 ქულა,
 ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო, გააფორმა ოქმი, მაგრამ ვერ დაასაბუთა (ზეპირად და წერილობით) ჩატარებული სამუშაოს სისწორე – 1.0 ქულა,
 ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო, გააფორმა ოქმი, დაასაბუთა (ზეპირად და წერილობით) ჩატარებული სამუშაოს სისწორე – 1.5 ქულა,

$24 \times 1,5 = 36$

პრაქტიკულ სამუშაოს სტუდენტები ასრულებენ ინდივიდურად, მასწავლებლის დახმარებით; სტუდენტები ჩართულნი არიან, აგრეთვე, ტესტური კითხვების შედგენა-განხილვაში.

გამოცდის ფორმა: ინტეგრირებული, ტესტური სახით, (საგამოცდო ცენტრში)

ფარმაცევტული ანალიზი პროფილური დისციპლინებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ინტეგრირებული გამოცდის ერთ-ერთი დისციპლინაა. *ინტეგრირებულ გამოცდაში შედის სულ ხუთი დისციპლინა: ფარმაცევტული ანალიზი, ფარმაკოგნოსტული ანალიზი, ფარმაცევტული ზრუნვა, ფარმაცევტული ტექნოლოგიები, ფარმაკოთერაპიული არჩევანი. თითოეული შეფასდება შუალედური შეფასების ქულით (11-60), ბოლოს გამოითვლება ხუთივე დისციპლინის შუალედური შეფასებების საშუალო არითმეტიკული, რაც ჩაითვლება შემაჯამებელ შუალედურ შეფასებად 11-60 ქულის ფარგლებში.*

პროფილური დისციპლინებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ინტეგრირებულ გამოცდაზე დასაშვებად, სტუდენტმა, შესაძლებელი 60 ქულიდან თითოეულ დისციპლინაში უნდა დააგროვოს სულ მცირე 11 ქულა; რომელიმე დისციპლინაში 11 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში, სტუდენტი არ დაიშვება ინტეგრირებულ გამოცდაზე და მან მოდული (30 კრედიტი), უნდა გაიაროს განმეორებით. თითოეულ სასწავლო კურსში 11 და მეტი ქულის დაგროვების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ სტუდენტმა შეასრულა სავალდებულო სამუშაოები და დაშვებულია გამოცდაზე; შუალედური შეფასება ცნობილია სტუდენტისთვის დისციპლინის დასრულებისთანავე. სტუდენტს შუალედური შეფასების კომპონენტების მიხედვით შეფასების გასაჩივრების უფლება აქვს ამ უკანასკნელის გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, დადგენილი წესით.

გამოცდაზე სტუდენტს მიეცემა 200 ტესტი (თითოეული-0.2ქულა). საგამოცდო ტესტის ბაზა (3000-მდე ტესტი) განთავსებულია თსსუ-ის ვებ-გვერდზე და სტუდენტისათვის ცნობილია. ტესტების განახლება ხდება ყოველ ახალ სასწავლო წელს.

საბოლოო შეფასებაში თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილია:

- შუალედური შეფასება - 60%
- დასკვნითი გამოცდის შეფასება - 40%
- საბოლოო შეფასება - 100%

8. ნარკოტიკული საშუალებების ტოქსიკოლოგია (არჩევითი)

სტუდენტის შეფასების კომპონენტებია:

ყოველდღიური აკადემიური აქტიურობა – 30 ქულა; პრაქტიკული უნარები – 15; პრეზენტაცია – 5 ქულა; კოლოკიუმი – 10 ქულა, დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა, საბოლოო შეფასება – 100 ქულა.

აკადემიური აქტიურობა - 30 ქულა. შეფასება ხდება სტუდენტის მიერ მომზადებული თეორიული მასალის შეფასების საფუძველზე. სტუდენტისთვის სავალდებულო იქნება 6 თემის მომზადება. თითოეული თემა შეფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

0 – თემა არ აქვს მომზადებული

1 – საკითხზე სტუდენტი მსჯელობს ზედაპირულად

2 – საკითხზე მსჯელობისას სტუდენტი უშვებს შეცდომებს და ვერ იცავს ქრონოლოგიას

3 – სტუდენტი საკითხს გადმოსცემს ხარვეზებით

4 – სტუდენტი საკითხზე მსჯელობს ზედმიწევნით, მხოლოდ უმნიშვნელო ხარვეზებით

5 - სტუდენტი საკითხზე მსჯელობს თავისუფლად და ამომწურავად

სემესტრის მანძილზე სტუდენტმა უნდა შეისწავლოს 6 თემა ($6 \times 5 = 30$ ქულა), სემესტრის მანძილზე დაგროვილი ქულების მათემატიკური ჯამით განისაზღვრება სტუდენტის აკადემიური აქტიურობა.

პრაქტიკული უნარები - 15 ქულა, ფასდება 10 სემინარზე. შეფასება ხდება სტუდენტის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და საკონტროლო ამოცანების შესრულების მიხედვით მაქსიმუმ 1.5 ქულით ($1.5 \times 10 = 15$). სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულების მათემატიკური ჯამი არის პრაქტიკული უნარების ქულა.

თითოეული ამოცანის შეფასება:

0 – სტუდენტმა ამოცანა არ შეასრულა

0.5 – სტუდენტი ამოცანის შესრულების და ოქმის გაფორმების დროს, ვერ ხვდება მის ძირითად არსს

1.0 – სტუდენტმა ამოცანის შესრულების და ოქმის გაფორმების დროს დაუშვა რიგი შეცდომები

1.5 – სტუდენტმა ამოცანა შეასრულა და გააფორმა უშეცდომოდ.

სემესტრის მანძილზე ტარდება ერთი კოლოკიუმი და შეფასდება 10 ქულით, კოლოკიუმი ჩატარდება წერით. ბილეთში შეტანილია 5 საკითხი განვლილი მასალიდან, შესაბამისად თითოეული საკითხის შეფასების მაქსიმალური ქულა არის 2 ($5 \times 2 = 10$). დარჩენილი დროის განმავლობაში მოხდება სტუდენტთა ნაშრომების განხილვა და შეფასება.

0 – სტუდენტმა საკითხი არ იცის

1 – სტუდენტმა საკითხი იცის გარკვეული ხარვეზებით

2 – სტუდენტმა საკითხი იცის

წერითი გამოკითხვა სტუდენტს აძლევს საშუალებას გამოხატოს მის მიერ შექმნილი ცოდნა ლოგიკური დასკვნების სახით. გამოკითხვის ეს ფორმა სტუდენტს აძლევს საშუალებას გამოავლინოს თავისი ცოდნა მაქსიმალურად.

პრეზენტაცია - 5 ქულა

სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს რეფერატული პრეზენტაცია წინასწარ შერჩეულ თემაზე. შესაძლებელია ჯგუფში, ერთ თემაზე მუშაობა ორ სტუდენტს ერთდროულად დაევალოს, რაც ნაწილობრივ მათი კომუნიკაციის უნარებს გააძლიერებს.

შესრულებული სამუშაო შეფასდება 5 ქულით:

0 – პრეზენტაცია არ მოამზადა

1 - პრეზენტაცია თემას არ პასუხობს

2 - პრეზენტაცია თემას პასუხობს, მაგრამ არის უხეში ხარვეზები

3 - პრეზენტაცია კარგად არის აწყობილი, მაგრამ სტუდენტი თავისუფლად ვერ მსჯელობს თემაზე, ვერ პასუხობს კითხვებს.

4 - პრეზენტაცია თემატურად და ვიზუალურად საინტერესოა, სტუდენტი თავისუფლად მსჯელობს თემაზე, თუმცა არის რედაქციული და ტექნიკური სახის ხარვეზები

5 - პრეზენტაცია არის თემატურად და ვიზუალურად საინტერესო, სტუდენტი თავისუფლად და საინტერესოდ მსჯელობს საკითხზე, ამომწურავად პასუხობს დასმულ შეკითხვებს

გამოცდაზე სტუდენტს ეძლევა 20 კითხვა განვლილი მასალიდან და მან უნდა გასცეს პასუხი წერილობით. კითხვებზე პასუხის გასაცემად მას ეძლევა 1 სთ. სავარაუდო კითხვები სტუდენტს ეძლევა წინასწარ მოსამზადებლად. თითოეული კითხვა ფასდება 2 ქულით:

0 - პასუხი ვერ გასცა

1 - პასუხი გასცა, მაგრამ დაუშვა შეცდომები

2 - სწორად გასცა პასუხი

საბოლოო შეფასებაში თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილია:

აკადემიური აქტივობა

30%

პრაქტიკული უნარები	15%
კოლოკვიუმები	10%
პრეზენტაცია	5%
დასკვნითი გამოცდის შეფასება	40%
საბოლოო შეფასება	100%

გამოცდაზე დასაშვებად, სტუდენტმა, შესაძლებელი 60 ქულიდან (კომპონენტების ხვედრითი წილი გამოცდის გამოკლებით) უნდა დააგროვოს ქულათა ის რაოდენობა, რაც გამოცდაზე მაქსიმალური შეფასების შემთხვევაში მას საშუალებას მისცემს მიიღოს 51 ქულა;

- გამოცდაზე სტუდენტმა უნდა მიიღოს 20-40 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცდა არ ჩაითვლება ჩაბარებულად;
 - საბოლოო შეფასებისათვის გამოცდაზე მიღებული ქულებს დაემატება სასწავლო კომპონენტების ქულათა ჯამი. სტუდენტის დადებითი შეფასებისათვის აუცილებელია სასწავლო კომპონენტების და გამოცდაზე მიღებული ქულათა ჯამი იყოს 51 - 100.
- სტუდენტს გააჩნია აპელაციის უფლება: მას შეუძლია, მოითხოვოს საკუთარი ნამუშევრის ხელახალი შეფასება (გასწორება) 24 საათის ვადაში